

ეს ფელიწადი ბარაქიანი
სამუოგლომ უშჰად ჩაიდგა გულში!
საამაჰოა, ნანატრი არის
ზღვა მოსაგალი ჩაის და ყურძნის!





მეგობრული



შენს მამულს რომ ეკადრება, მთლად ისეთი ასული ხარ!
ბევრს პაიკი რომ ეგონე, — დღეს დედოფლად გასული ხარ!

მთელი ქვეყნის დებიუტებს სჯობდა შენი დებიუტი!
სხვებს საათი რომ სჭირდებათ, შენ იქ გინდა სამი წუთი!

ხარ მებრძოლი უმიშარი, არ გაშინებს არვის ქიში!
სხვა რა გითხრა? — თვითონ ნონას არ გამოერჩევი შვილში!

არ გაკლია გოგოს „ბრაგო“, არ გაკლია ბიჭის ტაში!
არც თბილისში! არც მოსკოვში! არც მშვენიერ ბიჭვინთაში!

რვა წლის არც კი იქნებოდი, მიმოფანტე თოჯინები!
ოლიმპოს გზას შეუდექი ნაბიჯ-ნაბიჯ, დაჟინებით!

გაიმარჯვე! ჩამოხვედი! გვეგებობთ დიდის ამბით!
შენს ცხოვრებას ვენაცვალე — დედოფალას მწვავე გამბიტს!

ტია-ტია

შერბახუნებული ტელევიზორი

საყვედურებით, მითითებებით, რჩევა-დარიგებით ყელამდე სავსე პატივცემული ანდრო ის-ის იყო დირექტორისგან გამოსვლას აპირებდა, რომ კარი ფართოდ გაიღო.

ახალგაზრდა, წვერმოშვებულმა კაცმა ექსტრა კლასის ფორვარდით აუარა გვერდი აბსტრაქციონისტ მხატვრის პალიტრასავით აჭრელებულ მდივან ქალს და უფროსის კაბინეტში შეიჭრა. გოცებულმა მდივანმა წამწამი წამწამს შემოჰკრა და სიტყვა პირზე შეაცივდა.

ახალგაზრდას ფერნაქევი ჯინსის შარვალ-ხალათი ეცვა. მხარზე გადახეხილი ტყავის ჩანთა ეკიდა, რომლიდანაც ყუამოფხვნილი ხშიადებივით მოუჩანდა პორტატული მაგნიტოფონის დისკოები. მან პირის გაღებაც არ აცალა დირექტორს ისე მიაყარა:

— მე, ბატონო, ტელევიზიიდან ვარ... თქვენ უნდა მობრძანდეთ ჩვენთან კვირას, სპეციალური გადაცემა...

დირექტორი უარის სათქმელად მოემზადა, მაგრამ ტელეჟურნალისტმა აღარ აცალა და უკომპრომისო ტონით დაავირობა:

— ინტერვიუს მე ჩაგიტარებთ, უნდა მობრძანდეთ ფერადი ტელევიზიის რედაქციაში! ყურადღება გაამახვილეთ კადრების სწორად შერჩევაზე, საწარმოო ძალების სრულ გამოყენებაზე და გეგმების შესრულებაზე!

სადღესასწაულო ნამცხვარივით გაფუებული დირექტორი უცებ მოეშვა და ჩაიფუშა. კორესპონდენტი კი გატანილი გოლის ავტორივით მარჯვენაშემართული გავარდა გარეთ.

ანდრო ყველაფრის უნებური მოწმე გახდა. კორესპონდენტის ბოლო სიტყვებმა კი ლამის გული საგულედან ამოუგდო.

— ფერადი ტელევიზორიო!

მისი გონება მოშლილი ტრანზისტორივით აშიშინდა.

...დღესვე უნდა შეიძინოს ფერადი ტელევიზორი... ფულს ისესხებს, ნაჩხუბარ მეზობელს შეურიგდება... ბოლოს და ბოლოს თავლაფს დაისხამს და ერთი წლის უმძრახ სიდერს გამოართმევს... ვნახოთ ერთი, რას იტყვის ეს ვაჟბატონი ჩავარდნილ გეგმებზე, გამოუყენებელ საწარმოო ძალებზე, დაკონსერვებულ ახალგაზრდა კადრებზე... საყვედურები ადვი-

ლია, გაკეთებაა საქმე... აი, მაშინ რომ სახეზე სიწითლე გადაურბენს, ლოყები შეეფაკლება, აწითლება. შეჭარხლდება, ალმური აუვა, თმის ძირებამდე რომ გაწითლდება... ამის სანახავად კი ღირს სიდედრთან დამდაბლება და თავზე ნაცრის წაყრა. ეს ყველაფერი მხოლოდ ფერად ტელევიზორში გამოჩნდება! შავ-თეთრზე არაფერი დაეტყობა მის ფუმფულა ლოყებსა და ღაბაბს...

აწრიალებულმა ანდრომ ძლივს მოითმინა სამუშაო დღის დამთავრებამდე...

კვირას კი თავის ოჯახში ცოლ-შვილითა და მეზობლებით გვერდლამშვენებული ანდრო ამაყად შესცქეროდა გაპრიალებულ, ცისარტყელას ფერებით აელვარებულ ტელევიზორს. სადაც მისი დირექტორი ჭირის ოფლში უნდა გაწურულიყო.

— ...პატივცემული დირექტორო! როგორ იყენებთ საწარმოო ძალებს, როგორია გეგმების შესრულების პერსპექტივა...

აი, ახლა! ანდროს მღელვარებისაგან სული შეეგუბა. ახლა აუვარდება ამ ვაჟბატონს თავში სისხლი და წითლად შეუფეთქავს იმ მთვარესავით გაბადრულ სახეს... ფერადი ტელევიზორის მომგონს ვენაცვალე მე! — კარდიოგრამასავით გაიკლაქნა ფიქრი მადლიერებისაგან გულაჩუყებულ ანდროს გონებაში.

— ...გეგმები სრულდება ყოველგვარი კორექტივების გარეშე. ახალგაზრდა კადრებს ვანაწილებთ და ვაწინაურებთ ზუსტი პროფილით. საწარმოო ძალებს ვიყენებთ მაქსიმალურად.

დირექტორს ერთი ძარღვიც არ შეტოკებია შუბლზე. ისე იკრუა, ოდნავადაც არ წამოწითლებია სახე.

ანდრო სავარძელში გაქავდა, გაშრა... მისმა გულმა ასეთ იმედის გაცრუებას ვერ გაუძლო. მას გონება დაებინდა, — „ვალიდოლი“ — ძლივს ამოილულულა, ფერდაკარგული სავარძლის სახელურს გადაეკიდა და კინაღამ ძირს ზღართან მიადინა.

ზამთრის დილაა. ღამით მოყინა და ვანო, ცოტა არ იყოს, შიშით დააბიჯებს მოსარკულ დაღმართზე. თოვლისაგან ქუჩა არავის გაუსუფთავებია: ალბათ, მეფეზოვეთა აზრით, — ისეც არ არის ხშირი თოვლი თბილისში და გაუშვი, ხალხმაც გაიხაროსო!

ვანო ძლივს იკავებს წონასწორობას და გაბრაზებული ფიქრობს: „წონასწორობისათვის მარტო ორი ფეხი არ არის საკმარისი! აი, ახლაც, დილაადრინ, ქალმა წონასწორობიდან რომ არ გამოგიყვანოს, არ შეიძლება: „გაიხედე, სხვები როგორ ცხოვრობენო!“ ჩემი ბრალია, ხათრიანი რომ ვარ?! მაგრამ, კაცმა რომ თქვას, როგორ უნდა შეხედო სასწორის ისარს, როცა გამყიდველი პროლეტს გიწონის, და ამით გამყიდველი არ გამოიყვანო წონასწორობიდან. ერთხელ ვცადე, ტაქსის მძღოლისათვის მრიცხველის მიხედვით გადამეხადა და, წონასწორობიდან თვითონ კი არა, კინაღამ მანქანაც გამოვიდა.

ან სხვა ამბავი ავიღოთ: რიგში ვიდექი და ურიგოდ მისულისთვის შენიშვნის მიცემა მინდოდა. ის ისე გამოვიდა წონასწორობიდან, ვამჯობინე, იქაურობა დამეტოვებინა.

იმასაც ამბობენ, ტელეფონის დანახვავე კაცი წონასწორობიდან გამოდისო. მაგრამ აპარატი რა შუაშია?!

ამ დროს ვანოს უცებ ფეხი დაუსრიალდა. წონასწორობა ვერ შეიკავა და ტროტუარზე გაიშლარათა. ძლივს წამოდგა, ბარბაცით განაგრძო გზა და იქვე მდგომმა მეფეზოვემ, უსაქმურობისაგან ჩიზუხს რომ წმენდდა, დაასკვნა — „ახხმელიაზე“ გამოვიდაო.

ჰოდა, ძნელი საქმეა წონასწორობის დაცვა!

ანდრო კოკოლია



— რატომ ხეკვას ორივე თვალს?
— შეჩვეული, აღრე რევიზორად მუშაობდა!

ხარიტონ ხორხომელი ძე ერთ-ერთი რაიონის ერთ-ერთ მთიან სოფელში მეთოთხმეტე შვილად დაიბადა. მისი წილი კვიტიციას ჭამა სოფელში რომ მოათავა, 14 წლისამ დაიწყო მუშაობა ქალაქად, ცოტა სწავლა-განათლებლასაც დაეწაფა, უმაღლესიც დაამთავრა სამუშაოდან მოუწყვეტლივ და, ბოლოს, რაიონის ხელმძღვანელობაში მეორე კაცი გახდა. ათ წელზე მეტ ხანს იყო ამ მაღალ პოსტზე, მაგრამ ყველაფერი იცვლება და ხარიტონმაც რაიკოთბკავშირის თავმჯდომარის მოადგილის სკამზე გადმოინაცვლა. გავიდა წლები, რაიონს ახალი ხელმძღვანელი მოეგლინა. იგი კადრების გადახალისებას ახდენდა. ერთ მშვენიერ დღეს ხარიტონიც მიიწვია. ხარიტონმა იფიქრა, როგორც გამოსცდილ მუშაეს, ალბათ, დამაწინაურებენო.

— ხარიტონ! — მისალმებისთანავე უთხრა რაიონის ახალმა ხელმძღვანელმა, — ამბობენ, თქვენ რაიონში ქალაქებით ჩამოხვედით, ახლა კი ორსართულიანი სასახლე გაქვთ წამოჭიმული და თქვენი ოთხი გოგო სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტები არიან!

ხარიტონს ავი უგრძობ გულმა და მაშინვე შეაგება:

— არასწორად უთქვამთ თქვენთვის, მე

აღმართ-დაღმართი

აქ ფეხშიშველი ჩამოვედი, ქალამნები მხრებზე მქონდა გადაკიდებული, ვუფრთხილდებოდი, არ დამეხეს-მეთქი!

— თქვენს ობიექტზე უხეზად ირღვევა საბჭოთა ვაჭრობის წესები, თქვენ კი ამას ყურადღებას არ აქცევთ, — განაგრძო რაიონის ხელმძღვანელმა, — ეჭვებია, რომ თქვენ ხელქვეითებისგან ქრთამს იღებთ!

ცოტა არ იყოს, არ ესიამოვნა ხარიტონს რაიონის ხელმძღვანელის მიერ ასე პირდაპირ საკითხის დასმა და პასუხისთვისაც დიდხანს არ უფიქრა:

— ბატონო, ეჭვის გამო დაახრჩო ოტელომ დეზღემონა, მაგრამ დეზღემონა მართალი იყო!

ამით დამთავრდა რაიონის ხელმძღვანელთან ხარიტონის საუბარი. რამდენიმე ხნის შემდეგ ხარიტონისთვის პენსია სახლში მიჰქონდათ.

ერთხელ ხარიტონი თავისი საკუთარი შავი „ვოლგით“ თავის ყოფილ ხელქვეით შემგროვებელადეს შესვდა. ერთმანეთის მოკითხვის შემდეგ შემგროვებელადემ შემფოთებით უთხრა:

— პორფილიჩ, თვალები აწითლებული

გაქვთ, ალბათ განიცდით პენსიაში გასვლას, თანამდებობის დაკარგვას და ღამეები არ გძინავთ.

— არა, ჩემო ალმასხან, პენსიაში გასვლას სულაც არ განვიცდი, დამეები რომ ცოტა მიძნავს, ამას სწორად მიმიხვდი. აი, საქმე რაშია: შენ რომ ყოველთვიურად ობიექტიდან „პრემიას“ აგროვებდი და მოგქონდა ჩემთან, იმით სამპროცენტთან ობლიგაციებს ვყიდულობდი. იმდენი დამიგროვდა რომ თვეგახვეარში, ახალი ცხრილის გამოსვლამდე, დამეში 3-4 საათი მძინავს, ცოლიც და ხანდახან ბავშვიც მეხმარება და ძლივს ვასწრებთ მის გასინჯვას. გიყვარდეს, თითქმის ყოველ გათამაშებაზე ვივებთ, მაგრამ ეს არის, რომ ცხრილი ძალზე პატარა ციფრებითაა დაბეჭდილი გაზეთში, სათვალესაც ვხმარობ, მაგრამ მაინც ვიღლები!

— ასეა, პორფილიჩ, ყველა საქმემ დაღლა იცის, გახსოვთ, მე რომ მეკითხებოდით, ფული რამდენიაო?! დათვლაც გეწარებოდათ!

ხარიტონი მის ყოფილ ხელქვეითს დაემშვიდობა, თავისი შავი ფულით შეძენილ შავ „ვოლგაში“ ჩაჯდა და სიბნელეში გაუჩინარდა.

შალვაშვილი გგულაძე

მივიყვანე ახლა და ჩარიმასაც მოგარტყა-
პაი, პაი, მან ჩარიმასაც დავლემ!



ნახ. პ. ლომიძისა



— ეს რა ილგალი მავს, ვისაც ჩემს გაპირვებაზე შვერი-
ლე, ყველას ძილი მოუნდა!



— მე ხშირად ვრჩებიან მისვარს!

სამშენს კაცნი და ილტვირებულ ურჩაოს ურჩებოთ ათლებიან...

- 1. რაზე იტყვიან ხომ? 2. რა არის ბედნიერება... 3. წელიწადის რა დრო ვაძლავ შეგიღო და რაღამ?...

ე რ თ ი მ ა ნ ხ ი ნ ე ჯ ი

წიანდმდეც არ იქნებო, ისეთივე, რომელია დიდებს ხეობა აწმყვნი...

წყაღს არ გადახასხდა და მის აწმყვს ხათანად ავალს გამოტყვნილი...

მოდელი ხანმდლები ირგანიზის მიწაშა მიაჩნის პირიქით უნდა იტყვიან...



სამშენი

უფრო უფროსი სიკვდილი

უფროსი უფროსი სიკვდილი უფროსი სიკვდილი უფროსი სიკვდილი...

ილია კარსია




სამშენი

ურაჯუნი

- ზომი შევილი მშობლები დამოკიდებული არაა ჩამოვლილებულია... ● ზომი ბავშვი არ დაბადებულიყო და მამყანისთვის უნდა ფულს აწაფებდნენ...

ალეკსი მარკოზიანი



სამშენი

საშუალო თოხი

პეტი „მეგობარი“ მყვდა...

სახსებურში ჩემი უფროსი თავს მუდამ ჩემს მძაკად და მეგობრად ასაღებდა...

სა ჯ. ლოლასი



— მე საშუალოს რაბოტ არა მას ვაჩრებო? — განდ ანონიმური წარღვბის აწმრბის ღაბრკალული

აბა, რაჲ მგონია?!

ხალმონაჲ კაცი ვარ, რეცისორი ჩემს ახალდულ უფროსს ზოგუტორნილორ ინტერტობი აქვს დაბოლო...


სა ჯ. ლოლასი

ლექსიონი


- დახასიათება—სხვა ირგანიზაციის წახსელყო კაცის ქების სიკეთი... ● საბში — რომელი ზოგი ისვენებს, ზოგი კისებს იტებს...

ბიურკიანის

ხან ქალაქებს შეუდგენ ხან საშუალო— უნდა ამოღო ეს წარბო აბაო და ამწიხები კამოტე...



— არა, ბაღში? 150 კვადრეტი კი არა, 150 კილოგრამი!



— რა ღაგიქდა ეს მანქანა?
— ე, რაც ზედ აწმირია!

ჩემი სახლის წინ...

ჩემი სახლის წინ, ყოველ წამში, ცისფერი „გოლგა“
გაჩნდება ხოლმე, ქარზე სწრაფი და უეცარი!
შიგა ზის კაცი,
უცოდველი ადამის მოდგმა,
ცოტა პირფერი,
ცოტა გამრჯე
და უმეცარი.

ამ კაცს რომ ჰკითხო, ქვეყნის დარდი აღარ ასვენებს
და გულმოდგინედ რეცხავს ხშირად მანქანის შუშას.
ის ყველაფერზე მსჯელობს,
ოღონდ ერთს არ ასხენებს
არც კეთილ მწყემსებს,
არც ლურჯ ჩიტებს,
არც თაფლის მუშას...

მოაქვს ბაზრიდან მწიფე ხენდრო
და კარტოფილი,
და აკრიახებს წამდაუწუმ ნაცარა ქათმებს.
სალამოხანად აივანზე ზის კმაყოფილი
და ითვლის ჩუმად, ვის რამდენი
მისი რა მართებს...

ხანდახან, გზაზე რომ შემხვდება,
მესხმება რეტი,
ვიწვი დარდისგან და ცრემლებით მევსება თვალი.
ის რად არ ფიქრობს,
მას რომ სხვაზე ათასჯერ მეტი
ყველა ამ ხალხის უსირცხვილოდ მიჰყვება ვალი?!

შალვა ფორჩხიძე

მავრის შედეგი


რაიონის სპორტსაზოგადოების ფეხბურთის
გუნდი გადამწყვეტ მატჩში შეხვდა მეზობელი რაიონის გუნდს
და გაიმარჯვა მინიმალური ანგარიშით 1:0.
მეორე დღეს გამგეობის თავმჯდომარემ მთელი გუნდი თა-
ვისთან დაიბარა და მატჩის შედეგებზე ესაუბრა. პირველად
მწვრთნელს შეეკითხა:
— იმ სამ მსაჯს შავები რად ეცვათ? სპორტულ წრეებში
ვინმეს სიდედრი ხომ არ გარდაცვლია?!


ზინა მებალიშვილი

— სიდედრსა ჰყვარებიხარ! — შესძახა სუბრისთან
მჯდარმა მასპინძელმა ღია კარში გამოჩენილ ჭიჭიკოს.
— ბედნიერი კაცი ყოფილა! — ამოიხვნეშა მასპინ-
ძლის გვერდით მჯდარმა მუცელწვერმოშვებულმა კაცმა.
ზოგი ჭიჭიკოს გულშიც ჩაგებდათ. მაშინ გენახათ,
რას ამოიკითხავდით სიდედრის თაობაზე, მაგრამ ღიმი-
ლით შეიფერა ნათქვამი.
— აქეთ მობრძანდით, — დიასახლისმა პალტო ჩა-
მოართვა და სკამზე ანიშნა.
სკამი იყო და რა სკამი — სამეფო ტახტს ჰგავდა,
ზედ თხელი ბალიში ეფინა, საზურგეზე კი ამოჩუქურთ-
მებული ჰქონდა. ჭიჭიკო დაჯდა და მალლიდან ამაყად
გადახედა დანარჩენ სტუმრებს. მის წინ ჩახოხბილით
სავსე მათლაფას ონშივარი ასდიოდა.
„ასეთ სათავითაო სკამზე რომ დაგაბრძანებენ და
თავკერძს ამოგიღებენ, ჩანს, კაცი ხარ და ქული გზუ-
რავს“. გაიფიქრა და მაგიდაზე ამაყად მიმოატარა მზერა.
შემოსწრებული კაცის კვალობაზე სამი ჭიჭა დაალე-
ვინეს, ბედნიერ სიძეს რომ შეჰფეროდა. ისე ეჭირა
თავი, ოჯახსა და სტუმრებს ლოცავდა.
— ბიჭიკოს გაუმარჯოს! — მორიგი სადღევრძელო
წამოიწყო მასპინძელმა. — ვენაცვალე ვაჟკაცობაში და
გამტანობაში, რიყეზე ისე გაივლის, რომ ქვას არ დაინა-
ხავს.
— ნამდვილად, ბიჭიკოს გაუმარჯოს, კაი გაგებულ
ბიჭიკ არის და კაი დედ-მამიშვილიცაა...
— კაი ბიჭია და კაი სკამზეცა ზის...
ჭიჭიკოს უხედავად ეყვირა, ბიჭიკო კი არა, ჭიჭიკო
მქვიათ, მაგრამ ვილა აცლიდა, ძლივს ასწრებდა, რომ
მისკენ გამოწვდილი ჭიჭებისათვის მიეჭახუნებინა თავი-
სი სასმისი...
— იცოცხლეთ, გმადლობთ, თქვენი ჭირივე. — ეპასუ-
ხებოდა მედიდურად.
— ამ სკამზე ვინც იჯდა, იმ კაცს გაუმარჯოს. — თქვა
სულ ბოლოს ყბებმეცვენილმა, ნიკაპა კაცმა და ჭიჭიკოს
სკამს დაჰკრა ხელი.
„როგორ თუ იჯდა, განა ახლა აღარ ეზივარ? — ფიქრ-
ში გაიკვირვა ჭიჭიკომ და გუნებაში ჩაიციხა: ალბათ,
როცა ნაყლაპში ბრძანდება, თავის ნიკაპს იქით ველარა-
ფერს ამჩნევს“.
— ისე, კარგად იყო დამბალი, მაგრამ მაინც გამოგვი-
არა, დაგვხედა. — თქვა მასპინძელმა და ლიბრიანი თვა-
ლი მოეცრემლა. — ვენაცვალე...
— იმიტომაც აღარ დალია. მაშ როგორ! ინსპექტორი
კაცია, ამხელა უბანს მიხედვა უნდა. — ჩაიღიმილა მუ-
ცელწვერმოშვებულმა.
ჭიჭიკოს ცივმა ოფლმა დაასხა. გაახსენდა. სანამ აქ შე-
მოვიდოდა. სადარბაზოსთან ლოყებაჟინჯილილებულ კაცს
შემოეფეთა, რომელიც ამ სახლიდან გადიოდა. მიხვდა,
რომ სხვის ადგილზე იჯდა და სკამიდან დამდურული-
ვით წამოვარდა.
ყურადღება არავის მიუქცევია. სტუმრებს ჭირიანი
მამლებით ერთმანეთისათვის გადაეჭლოთ ვენებდაბე-
რილი კისრები და ჩახრინწული ხმით გაჰყიოდნენ:
— „ვისი სადღევრძელოც იყო, მისი მრავალყამიერი...“

ელგუჯა მერაბიშვილი

ნახ. რ. ჯაფისა





უსიტყვოდ

ათი ნელი — არისზოს. მისი ცოლი — გრაგინა...

ცაცა გაჰყვა არისტოს, მილიონერს, მამისტოლს!.. რამ მოხიბლა?! — ქონებამ აურია გონება! თვალციმციმა ბეჭდებმა, კაბა-კუბამ ჭრელ-ჭრელმა, ბრილიანტის საყურემ, ხელზე მოსამსახურემ, უცხო მარკის მანქანამ, ენამ ტკბილმა, შაქარამ, უთვალავმა ფულებმა, დროსტარებამ უღლევმა, აგარაკმა მზიანმა, ხელში ოქროს ბურთულმა.. მაგრამ ერთ დღეს არისტოს, მილიონერს, მამისტოლს, აურიეს გონება, ჩამოართვეს ქონება, სტაცეს ხელი კისერში, თავი უკრეს ციხეში! ჰოდა, ცაცას ფარფალი დიდხანს როდი დაცლია: ფარჩის კაბა გახადეს, ახლა ჩითის აცვია!.. სიხარულით ტაშს უკრავს შინაბერა ფაცია, ნახეთ — კონფისკაციამ ცაცა კნუტად აქცია. წუველის ცაცა არისტოს და სხვა ფიქრით ხალოსობს... აედევნა გრამიტონს — მილიონერს, მამისტოლს!.. ისე ელაქუცება, დააშოროს ღამის ცოლს... გრამიტონიც სულ მალე არხისტოებერ გაქაჩეს, ცაცა ისევ დაეძებს ახალ ბედს და ახალ ქერს... დედოფლობას ნაჩვევი, ღარიბ საქმროს ინატრებს?! რა ჰქნას, ისევ ხანმოკლე წუთისოფელს მიათრევს!.. გოგონებო, თუ გინდათ, დარჩეთ ერთგულ ცოლებად! — გულის სწორნი ეძებეთ, არა-მისი ქონება!

„არ ჩააგდო!“

ავმედი თუ არა ავტობუსში, სალაროსთან ავიტუზე, ხელში ათკაპიკიანი დავიჭირე და დაველოდე. ვინმე ხუთკაპიკიანს მომცემს და აღარ ვიზარალებ-მეთქი. უცებ კარებში ამოიზღაზნა ჯანღონით სახსე, მღვდელივით თმაწვერმოშვებული ახალგაზრდა ბიჭი. არ ჩააგდო, მითხრა და ათკაპიკიანი ხელიდან გამომგლიჯა, მერე ბილეთი მოხია და მომაწოდა, თან ხუთკაპიკიანიც მოაყოლა.

მომდევნო გაჩერებამდე ვილაცას კიდევ უთხრა, არ ჩააგდო, მასაც გამოართვა თხუთმეტკაპიკიანი და ზურდა დაუბრუნა.


მესამე გაჩერებაზეც გავიგონე, რომ თქვა, არ ჩააგდო.

მეოთხე გაჩერებაზე ორჯერ გაიმეორა იგივე „არ ჩააგდო!“

მეხუთე გაჩერებაზე მე ჩავედი, მაგრამ ჩასვლისას, ისევ მოვკარი ყური მის „არ ჩააგდოს“.

მივდიოდი და გზაში, ჩემდა უნებურად, ვფიქრობდი: ის ბიჭი ყველას რომ ეუბნებოდა არ ჩააგდო, ნეტავ, თვითონ მან ჩააგდო, თუ ჩაგდება არაფრად ჩააგდო?

სარგის მირზოიანი



უსიტყვოდ

„გელისა და კაკის“ ახალი ვარიანტი

პატარა ბეკეკას დასცხა და წყალი მოსწყურდა, ჩავიდა მდინარეზე და ჩაჰყო წყალში დრუნჩი.

— ჰელოუ! — მოესმა ზემოდან მგლის ხმა.

— პრივეტ! — აუქნია ხელი კრავმა.

— როგორ გაბედე, რომ წყალი ამიმღვრიე?!

— შტერი ყოფილხარ გეოგრაფიაში, ყოველგვარი უბედურება მდინარეს ზევიდან ქვევით მოაქვს.

— შარშანწინაც არ ჩაგიდენია შენ კაი კაცობა! — გააღრჭიალა კბილები მგელმა.

— ჯერ ერთი, წლისაც არა ვარ! ვაი, მე იმის... ვინც შენ საშუალო დაგამთავრებინა!

— მაშინ ძმა იქნებოდა შენი, ან, რა მნიშვნელობა აქვს, ცხვარი ხომ იყო?

— აბა, აბა! ცხვრის ხსენებაზე ბოდიში მოიხადე! — შემოტრიალდა კრავი.

— კი მაგრამ, ვალი?! — შედრკა მგელი.

— რა გინდა, ბოლოს და ბოლოს?! — დოინჯი შემოიყარა კრავმა.

— ტყეში უნდა წაგიყვანო და შეგჭამო!

— აქვე მიმირთვი, ბატონო, მხოლოდ კარგად დავიბან და ისე, თორემ ტუტყი რომ შეგყვეთ და კუჭი აგეშალოთ, ხომ მოგჭრა თავი!

— კარგი! — ამოიყმუვლა მგელმა და ჩამოჯდა.

კრავი მიბაკუნდა და ყურადღებით დაუწყო თვალთვლიერება.

— რას შვრები?! — ავმა წინა-

თვრძნობამ შეიპყრო მგელი.

— ტყავს ვათვალთვრებ, ეგებ რამეში გამომადგეს, ან ქურჭზე მოსაყოლებლად, ან ფიტულად, ბოლოს და ბოლოს, ბინაში შესასვლელთან დავაგდებ, სტუმრები ფეხებს გაიწმენდენ.

— ბევრს ნუ ლაპარაკობ! ჩქარა დაიბანე, აღარ უნდა შეგჭამო?! — შეწუხდა მგელი.

— რა გეჩქარება?

— სოროში ხუთი ლეკვი მელოდება, მტირალი და თვალბუხებულე-ლი.

— მათი ტირილი მაშინ ნახე, თვალებს რომ გაახვლენ და შენ დაგინახავენ, მაიმუნზე უარესო!

— ვაჰ, ამას რას შევესწარი?! — დაიქშინა მგელმა და მკერდი გადაიღვდა.

„არ ვე მო ნ ე ბ ი ლ ო მ ს !..“ — ამოესვირინებინა მკერდზე მგელს.

— ერთი შენიც და ლომისაც!.. — შეუკურთხა კრავმა, — წაუთრიე, თორემ ჩაგაძაღლებ.

— ჩამაძაღლებ?! — ააკანკალა მგელს.

— თუ ძაღლური სიკვდილი გერცხვინება, ჩაგამგლებ!

— აბა, დამისვდი! — დაიყმუვლა გაბრაზებულმა მგელმა და შეკრა კამარა.

ზედიზედ სამჯერ იქუხა „მაკარო-ვმა“.

— ამ უბედურმა ტყუილად შემომაკლა თავი, ეცხოვრა ძაღლურად! — ჩაიკიკინა კრავმა, პისტოლეთი „სუპერის“ ჯიბეში ჩაიდო და არხვინად შეუყვა აღმართს.

7-78

78-684

76187

ნახ. ბ. ლომიძისა

ქვეყნული
ბიბლიოთეკა

თავაყვებილი იტალიე-
ლი ტერორისტები აინუნშიც არ
აგდებენ იტალიელი ხალხის გუ-
ლისწყრომას. მათ ზურგს უმაგ-
რებენ საშინაო თუ საგარეო რე-
პრესიული წრეები.



„...მინა კალანდალი“

მთავარი რედაქტორი ზურაბ გამაყვებილი სახელმძღვანელო კომისია: ზ. ბოლქვაძე (მთ. რედ. მოადგილე) ზ. კასიაშვილი,
ჯ. ლულუა, ბ. ლომიძე, ნ. მაღალაშვილი (შატე. რედ.), ბ. ნიჟინაძე, ბ. სიხარულიძე (ვ/მგ. მდივანი), ბ. ფირცხალაბა, ო. ზალიძე
● გამაყვებილი რედაქტორი ბ. კახალაშვილი, ● საბირისა და იუზორის ჟურნალი „ნინაში“ ● თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 42,
● საქართველოს კვ. ც.-ის გამომცემლობა, გადაეცემა ასაწყობად 23/X-78 წ. ხელმოწერილი დასაბეჭდად 23/XI-78 წ. ქალაქის ზომა 70x1081/8
ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 2. საადრინესო-საგამომცემლო თაბაბი 1.7 ● საქართველოს კვ. ც.-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის
ქ. 14. ● შეკვ. 2874. უფ. 00968. ტირ. 141.000 ტბილისი, პრ. რუსთაველი № 42. სატირიკო-იუმორისტული ჟურნალი «ნინაში», ● Изда-
тельство ЦК КП Грузии. ● Типография Издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина № 14.
ტელეფონები: 99-76-69, 93-19-42, 93-10-78, 93-49-32. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ნახატო თეგების ავტო-
რები: მ. აბაშიძე, ბ. ცო-
ლაბ, ვ. კუციანი, ბ. კახა-
ნავაძე, ბ. ლომიძე, ბ. ფი-
რცხალაბა, რ. ჩხეიძე, ი. ყვი-
ნაშვილი.

